# PAY ანგარიშის და ბარათის მომსახურების პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკი“-ს დირექტორთა საბჭოს 2010 წლის 1 დეკემბრის სხდომის #32/1 ოქმით/
შეტანილია ცვლილებები დირექტორთა საბჭოს 2014 წლის 03 ივნისის სხდომის #221 ოქმით

შინაარსი

**ნაწილი I - შესავალი ... 3**

*ტერმინთა განმარტებები ... 3*

*განცხადებები და გარანტიები ... 4*

*მომსახურების ძირითადი პირობები ... 4*

**ნაწილი II - პროდუქტები ... 5**

*PAY ანგარიში და PAY ბარათი ... 5*

*ვებ-გვერდი Sმარტივი ... 6*

*eMoney ანგარიში და eMoney ბარათი ... 6*

*eMoney ელექტრონული ანგარიში ... 8*

*ელექტრონული არხებით მომსახურება ... 8*

*Sმარტივი კონსიერჟი ... 9*

*PAY ანგარიშიდან ავტომატური გადახდები ... 9*

*SMS შეხსენება ... 9*

*@smartivi.ge ელექტრონული საფოსტო მომსახურება ... 9*

*ქულების აღრიცხვის პროგრამა ... 10*

*PAY ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა ... 10*

*უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი ... 10*

*ლიბერთი კლუბი ... 10*

**ნაწილი III - ზოგადი დებულებები ... 11**

*მომსახურების ტარიფები და პირობები ... 11*

*მხარეთა პასუხისმგებლობა ... 11*

*პასუხისმგებლობის შეზღუდვა ... 11*

*ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა ... 12*

*მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა ... 12*

*კომუნიკაცია ... 12*

*კონფიდენციალური ინფორმაცია ... 12*

*დასკვნითი დებულებები ... 13*

**დანართი #1 - მომსახურების პირობები და ტარიფები ... 14**

## ნაწილი I - შესავალი

### 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **აფილირებული პირ(ებ)ი - ბანკთან** დაკავშირებული **პირ(ებ)ი**, რომ(ე)ლ(ებ)იც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება **ბანკის** მიერ ან/და რომლის/რომელთა საშუალებითაც **ბანკი** ახორციელებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას;

1.1.2. **ბანკი - ხელშეკრულების მხარე**, სს ლიბერთი ბანკი, რეგისტრაციის თარიღი: 27 მარტი, 1995 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304, საბანკო ლიცენზია № 0110247, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის 74;

1.1.3. **ბანკომატი** - თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **კლიენტს** შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა, თანხის გადარიცხვა, **PAY ანგარიშზე** არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და **ბანკის** მიერ ნებადართული სხვა ოპერაციების შესრულება;

1.1.4. **ბარათის მფლობელი - კლიენტი** ან/და **PAY ბარათით** მოსარგებლე ნებისმიერი იდენტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელსაც გადაეცემა **PAY ბარათი** წინამდებარე **პირობების** ან/და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით;

1.1.5. **ბრენდირებული PAY ბარათი - ბანკის** მიერ პარტნიორი ორგანიზაციის მიერ შერჩეული დიზაინით და პარტნიორი ორგანიზაციის კლიენტებისათვის ემიტირებული **PAY ბარათი**, რომელზეც ვრცელდება **პირობების #1 დანართით** განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების პირობები და ტარიფები;

1.1.6. **განაცხადი - კლიენტის** მიერ წინასწარ დადგენილი სპეციალური ფორმით შევსებული **PAY ბარათით** სარგებლობის მოთხოვნა, ან ელექტრონული არხების (ვებ-გვერდის, **მობილური აპლიკაციის** და სხვა) საშუალებით შევსებული განაცხადი, რომელზეც შესაბამისად ხელმოწერით ან ელექტრონული თანხმობით **კლიენტი** იმავდროულად აცხადებს თანხმობას წინამდებარე **პირობებზე;**

1.1.7. **განცხადებები და გარანტიები - პირობების** მე-2 მუხლში მოცემული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები;

1.1.8. **გაუქმების ოპერაცია - კლიენტის** ფულადი სახსრების დაბრუნების ოპერაცია, როდესაც **პროვაიდერ(ებ)ს** არ შეუძლია(თ) **კლიენტის** მიერ გადასახადის მიღება ან/და **პროვაიდერ(ებ)ის** მიერ ოპერაცია განხორციელდა შეცდომით;

1.1.9. **გახარჯვის სქემა - PAY ანგარიშიდან** თანხის გახარჯვის სქემა, მოიცავს ორ ოფციას: (ა) ნაშთის პრიორიტეტი - თუ ოპერაციის შესრულებისთვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო **PAY ანგარიშის** შემავალი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი დადებითი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (ბ) ოვერდრაფტის პრიორიტეტი - თუ ოპერაციის შესრულებისთვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც მულტისავალუტო **PAY ანგარიშის** შემავალი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი ხელმისაწვდომი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება, ხელმისაწვდომი ნაშთების გათვალისწინებით. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვე-ანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან. (ოპერაციის ვალუტაში კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, ოპერაციის თანხა ჩამოიჭრება ან სხვა ვალუტის ანგარიშებზე არსებული ნაშთებიდან (ნაშთების პრიორიტეტი) ან ოპერაციის ვალუტაში არსებული ოვერდრაფტიდან (ოვერდრაფტის პრიორიტეტი) **კლიენტის** არჩევანის შესაბამისად. პრიორიტეტი ფიქსირდება განაცხადში);

1.1.10. **დამატებითი ბარათი** - **PAY ბარათი**, რომელსაც **ბანკი** გასცემს **კლიენტზე** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებულ სხვა ფიზიკურ პირზე (დამატებითი ბარათის მფლობელი) და რომელიც, მიუხედავად თავისი მფლობელისა, დაკავშირებულია **კლიენტის PAY ანგარიშთან**;

1.1.11. **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი** - პირი, რომლის სახელზეც, **კლიენტის** მოთხოვნით, არის გაცემული **დამატებითი ბარათი**;

1.1.12. **ვალუტების პრიორიტეტულობა** - ვალუტის პრიორიტეტულობა განსაზღვრავს იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც **ბანკი** (გახარჯვის სქემის გათვალისწინებით) მოახდენს **კლიენტის** მულტისავალუტო **PAY ანგარიშის** ქვე-ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერას შესაბამისი ოპერაციის განსახორციელებლად;

1.1.13. **ვებ-გვერდი Sმარტივი** ან **ვებ-გვერდი** - ვებ-გვერდი www.smartivi.ge, რომლის საშუალებითაც (i) **PAY ბარათის** მფლობელს აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს **პროვაიდერ(ებ)ის** გადასახად(ებ)ი, შეავსოს **PAY ანგარიში** ან/და მართოს კალათ(ებ)ი და რომლითაც (ii) ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს **პროვაიდერ(ებ)ის** გადასახად(ებ)ის გადახდა.

1.1.14. **ვირტუალური ბარათი** - მატერიალური ფორმის არმქონე ბარათი, რომელიც გულისხმობს წინამდებარე პირობების საფუძველზე **ბანკის** მიერ უსაფრთხოების ზომების დაცვით ბარათის მფლობელისათვის მიწოდებული რეკვიზიტების (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობას, რომლის საშუალებით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით.

1.1.15. **თანხის გადახარჯვა (ოვერლიმიტი) - კლიენტის** ანგარიშში შემავალ ერთ ან რამდენიმე ანგარიშზე წარმოშობილი სადებეტო ნაშთ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე.

1.1.16. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.17. **კალათ(ებ)ი - კლიენტის** მიერ **PAY ბარათით** სარგებლობის მიზნებისთვის შერჩეული **პროვაიდერების** ერთი ან რამდენიმე ჯგუფი, რომელიც **კლიენტის** შეხედულებისამებრ შესაძლებელია პერიოდულად შეიცვალოს.

1.1.18. **კლიენტი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს **PAY ბარათით** და ვებ-გვერდით.

1.1.19. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.20. **მესამე პირი** ან **მესამე პირები -** ფიზიკური ან/და იურიდიული პირ(ებ)ი/ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლებიც არ წარმოადგენენ **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.21. **მიმღები** - პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდა.

1.1.22. **მობილური ტელეფონი ან ტელეფონი** - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი.

1.1.23. **მომსახურების წერტილები - ბანკის** ფილიალ(ებ)ი, სერვის-ცენტრ(ებ)ი, წარმომადგენლობ(ებ)ი ან/და აგენტ(ებ)ი;

1.1.24. **მხარე - ბანკი** ან **კლიენტი** (**PAY ბარათის** მფლობელი).

1.1.25. **მხარეები - ბანკი** და **კლიენტი** (**PAY ბარათის** მფლობელი) ერთობლივად.

1.1.26. **Sმარტივი ბარათი** - **PAY ბარათის** ერთ-ერთი სახე, რომლის სარგებლობის პირობები და ტარიფები რეგულირდება წინამდებარე **პირობებით**.

1.1.27. **პარტნიორი ორგანიზაცია** - პირი რომელთან გაფორმებული ხელეკრულების საფუძველზე **ბანკი** ახორციელებს ბრენდირებული **PAY ბარათების** ემისიას;

1.1.28. **პირობები -** წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი PAY ანგარიში და ბარათის მომსახურების სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge;

1.1.29. **პროდუქტი/პროდუქტები - ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობების** თანახმად **კლიენტისათვის** შეთავაზებული საბანკო მომსახურება;

1.1.30. **პროვაიდერ(ებ)ი** - კომუნალური, სატელეკომუნიკაციო და სხვა სახის მომსახურების მომწოდებელი და სხვა ნებოყოფლობითი ან/და სავალდებულო გადასახადების მიმღები პირები, რომლებიც თანამშრომლობენ **ბანკთან** და რომელთა ნუსხაც (რომელიც დანართის სახით ერთვის წინამდებარე პირობებს) პერიოდულად შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე.

1.1.31. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.32. **საგადახდო დავალება** ან **დავალება - მომსახურების წერტილებში**, აგრეთვე ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული მობილური ტელეფონის საშუალებით კლიენტის მიერ SMS, **USSD MENU**-ს და/ან **Sმარტივი აპლიკაციის** საშუალებით **ბანკისთვის** ელექტრონულად მიცემული **საგადახდო დავალება**.

1.1.33. **სპეციალური PAY ანგარიში - ბანკის** ინფორმაციულ სისტემაში **კლიენტის** სახელზე გახსნილი არასაბანკო ანგარიში, რომელზეც ხდება ქულების აღრიცხვა.

1.1.34. **Sმარტივი სახელი - კლიენტის** მობილური ტელეფონის 8 (რვა) ან 9 (ცხრა) ციფრისაგან შემდგარი ნომერი, **კლიენტის** სურვილის მიხედვით შერჩეული ლათინური ანბანის სიმბოლოებისგან შემდგარი სახელი ან/და ნომერი ან/და მათი ერთობლიობა ან **ბანკის** მიერ წინასწარ, ერთპიროვნულად განსაზღვრული ანბანის სიმბოლოები ან ციფრები ან/და მათი ერთობლიობა. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ უარი უთხრას **კლიენტს** გარკვეული კონკრეტული სახელის გამოყენებაზე ან ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოართვას **კლიენტს** უკვე არსებული სახელი.

1.1.35. **Sმარტივი აპლიკაცია** ან/და **მობილური აპლიკაცია - ბანკის** ელექტრონული პროგრამა, რომლის **მობილურ ტელეფონში** ინსტალაციის შემდეგ **კლიენტს** საშუალება მიეცემა მისი მეშვეობით განახორციელოს თანხის გადარიცხვები.

1.1.36. **ტარიფები** ან **მომსახურების ტარიფები - ბანკის** მიერ დადგენილი საფასური, რომელსაც **კლიენტი ბანკს** გადაუხდის **პირობებით** განსაზღვრული მომსახურებისათვის, **პირობების #1 დანართის** შესაბამისად;

1.1.37. **ტრანზაქცია** - ავტორიზაციის და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ნებადართული ოპერაციების განხორციელებას **ბანკის მომსახურების წერტილების, PAY ბარათის** ან/და **ბანკის** ელექტრონული არხების გამოყენებით, მათ შორის რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების გამოყენებით - **SMS შეტყობინების, USSD MENU**-ს ან/და ნებისმიერ სხვა ელექტრონულ არხებზე არსებული **Sმარტივი აპლიკაციის** საშუალებით.

1.1.38. **უკონტაქტო წამკითხველი - ბანკომატზე** განთავსებული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც საგადახდო ბარათით (მათ შორის **PAY ბარათით**) ან **ID ბარათით** შესაძლებელია **ბანკომატში** საგადახდო ბარათის განთავსების გარეშე **ბანკომატით** სარგებლობა;

1.1.39. **ქულა** - პირობითი ერთეული, რომელსაც **ბანკი** წინამდებარე **პირობების** საფუძველზე ან/და პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებით აღრიცხავს **სპეციალურ PAY ანგარიშზე**.

1.1.40. **ჩარჯბექი** - კლიენტის მოთხოვნით მის შესაბამის **PAY ანგარიშზე ბანკის** მიერ იმ ფულადი სახსრების დაბრუნების ოპერაციის ინიცირება, რომლებიც ჩამოწერილია კლიენტის **PAY ანგარიშიდან** ტრანზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის გადახდის შედეგად.

1.1.41. **წვდომის კოდები - PAY ბარათის** PIN კოდები, პაროლები, მომხმარებლის სახელი ან/და ნებისმიერი სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც **ბანკმა** შეიძლება **კლიენტს** მიაწოდოს სხვადასხვა საბანკო მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისა და სარგებლობისთვის;

1.1.42. **ხელშეკრულება - კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **განაცხადის, პირობების** ან/და ნებისმიერი დამატებითი **განაცხად(ებ)ის, დანართ(ებ)ის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და რომლის საფუძველზეც და პირობების შესაბამისადაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** მომსახურებას;

1.1.43. **eMoney** - შპს "ახალი ფინანსური ტექნოლოგიები აფტ" (ს/კ 202376026) და შპს "იმანი" (ს/კ 204557540) ერთობლივად, რომლებიც ახორციელებენ **eMoney ელექტრონული ანგარიშის** მომსახურებას;

1.1.44. **eMoney ელექრონული ანგარიში** ან/და **eMoney ანგარიში** - ფიზიკური პირის ელექტრონული ანგარიში - **PAY ანგარიშის** ქვეანგარიში, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებულ ელექტრონულ ანგარიშს და მისი მოხმარების წესი რეგულირდება **eMoney** ანგარიშის მომსახურების პირობებით;

1.1.45. **eMoney ბარათის ანგარიში** - ფიზიკური პირის მონოვალუტური ანგარიში - **PAY ანგარიშის** ქვეანგარიში, რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით დაკავშირებულია **eMoney ბარათთან**.

1.1.46. **eMoney ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული ვირტუალური ან/და დაბეჭდილი პერსონიფიცირებული საგადახდო ბარათი **ბრენდირებული PAY ბარათი**, რომელსაც **კლიენტი** იყენებს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით.

1.1.47. **ID ბარათი** - მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან მეტად დაცული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

1.1.48. **PAY ანგარიში -** ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიბმულია ერთ ან რამოდენიმე ბარათზე.

1.1.49. **PAY ანგარიშის ძირითადი ვალუტა** - მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;

1.1.50. **PAY ბარათი - ბანკის** მიერ ემიტირებული საერთაშორისო საბანკო ბარათი (VISA, MasterCard, UnionPay და სხვა) ან/და **PAY სისტემაში** ჩართული ლოკალური საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლითაც ხორციელდება **PAY ანგარიშიდან** თანხის გახარჯვა. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს და შეცვალოს **PAY ბარათის** სახეები და თითოეულის მომსახურების პირობები.

1.1.51. **PAY სისტემა - ბანკის** საგადახდო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საგადახდო/საბანკო ოპერაციების დამუშავებას და მის შესრულებას.

1.1.52. **P2P** - ერთი **PAY ბარათიდან** მეორე **PAY ბარათზე** ან/და **ბანკის** მიერ ემიტირებულ სხვა საბანკო პლასტიკურ ბარათზე თანხის საქართველოს ტერიტორიაზე გადარიცხვის შესაძლებლობა ბანკომატის, ვებ-გვერდის ან/და სხვა ელექტრონული არხ(ებ)ის მეშვეობით.

1.1.53. **SMS შეტყობინება** ან/და **SMS - კლიენტის, ბანკის** ან/და სხვა **მესამე პირის** მიერ ინიცირებული მოკლე ტექსტური შეტყობინება.

1.1.54. **USSD მენიუ** - ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც **კლიენტი** უფლებამოსილია **მობილური ტელეფონით** დააგენერიროს **საგადახდო დავალება** ან/და ისარგებლოს **ბანკის** მიერ შეთავაზებული სხვა მომსახურებით.

## 2. განცხადებები და გარანტიები

2.1. **კლიენტი განაცხადზე** ხელმოწერით (**განაცხადის** წარდგენით) აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან **პირს,** რომელსაც **ხელშეკრულების** დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის **კლიენტის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო/სამართლებრივი ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

2.1.3. არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის მის (**კლიენტის**) მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.4. წარმოადგენს გადახდისუნარიან **პირს**, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.5. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** მის (**კლიენტის**) მიერ წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.6. არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობას;

2.1.7. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **კლიენტის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

2.1.8. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია **ხელშეკრულების** პირობები და **ხელშეკრულების ტარიფები** და ადასტურებს, რომ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

2.1.9. **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით თანხმობას/ნების გამოვლენას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

2.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.3. **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს**) **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს **განცხადებებისა და გარანტიების** დარღვევას.

2.4. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე ცალმხრივი უარის სათქმელად ან/და **ხელშეკრულების** ცალხრივად შესაწყვეტად.

## 3. მომსახურების ძირითადი პირობები

3.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **PAY ბარათის მფლობელი** პირის მომსახურების პირობებს, რომელიც განსაზღვრავს **PAY ბარათით** და **PAY ანგარიშით** სარგებლობის წესებს, მათ აღწერილობას და **მხარეთა** უფლება-მოვალეობებს აღნიშნული **პროდუქტებით** სარგებლობის პროცესში.

3.2. **PAY ბარათის**, რომელიც ჩართულია სართაშორისო საგადამხდელო სისტემაში (VISA, MasterCard და სხვა), გამოყენება რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და **ბანკსა** და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებს (VISA International, MasterCard Europe, UnionPay და სხვა) შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

3.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული მომსახურება შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი **პროდუქტებისაგან**:

(ა) **PAY ანგარიში**;
(ბ) **PAY ბარათი**;
(გ) **ვებ გვერდი Sმარტივი**;
(დ) **eMoney ანგარიში** და **eMoney ბარათი**;
(ე) **eMoney ელექტრონული ანგარიში**;
(ვ) ელექტრონული არხებით მომსახურება;
(ზ) Sმარტივი კონსიერჟი;
(თ) **PAY ანგარიშიდან** ავტომატური გადახდები;
(ი) SMS შეხსენება;
(კ) @smartivi.ge ელექტრონული საფოსტო მომსახურება;
(ლ) ქულების აღრიცხვის პროგრამა;
(მ) **PAY ანგარიშზე** სარგებლის დარიცხვა;
(ნ) **უკონტაქტო წამკითხველით** მომსახურების სერვისი;
(ო) ლიბერთი კლუბი.

3.4. თუ **კლიენტს** არ გააჩნია **პირობების** 3.3. პუნქტში ჩამოთვლილთაგან, რომელიმე **პროდუქტით** სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება **პირობებში** ამ **პროდუქტის** აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები **კლიენტისათვის**

ამოქმედდება, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის პროდუქტით** სარგებლობის უფლების მინიჭების შემდეგ.

3.5. **კლიენტის** მიერ, **ბანკის** თანხმობით, **პირობებში** აღწერილი რომელიმე **პროდუქტის** (ან მისი ნაწილის) გამოყენება განიხილება, როგორც **კლიენტის** თანხმობა წინამდებარე **პირობების** შესაბამისად აღნიშნული **პროდუქტით** სარგებლობის პირობებზე.

3.6. წინამდებარე **პირობების დანართებით** განისაზღვრება კონკრეტული **PAY ბარათისთვის** ამა თუ იმ **პროდუქტით** სარგებლობის პირობები. იმ შემთხვევაში თუ **დანართით** არ არის გათვალისწინებული რომელიმე **PAY ბარათის** ტარიფები ან/და სარგებლობის პირობები, იგულისხმება, რომ ასეთ **PAY ბარათზე** ვრცელდება სტანდარტული Sმარტივი **PAY ბარათისთვის** დადგენილი ტარიფები და პირობები.

3.7. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები (მათ შორის და არამარტო **ხელშეკრულების დანართებით** განსაზღვრული ტარიფები) იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან/გადაწყვეტილებებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და **კანონმდებლობასთან**. წინამდებარე **პირობების** ცვლილების შემთხვევაში, **ბანკი კლიენტს** აღნიშნულის თაობაზე შეატყობინებს **ბანკის** საინფორმაციო საშუალებების (**ბანკის** ვებ-გვერდზე ცვლილებების განთავსებით ან/და **ხელშეკრულებით** განსაზღვრული კომუნიკაციის არხებით) მეშვეობით.

3.8. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, თუ **კლიენტმა ბანკისათვის** მისაღები ფორმით და შინაარსით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი.

3.9. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას მას შემდეგ, რაც **კლიენტი ბანკს** წარუდგენს მის მიერ შევსებულ **განაცხადს** და **ბანკის** მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს **განაცხადი** ან/და უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.

3.10. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტს** შესთავაზოს (როგორც დისტანციური საბანკო მომსახურების ასევე სხვა არხების საშუალებით), ხოლო **კლიენტის** მიერ სათანადო **განაცხადის** (ელექტრონული თანხმობის) **ბანკისათვის** წარდგენის შემთხვევაში განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება, მათ შორის ისეთი საბანკო მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე **პირობებით**.

3.11. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

## ნაწილი II - პროდუქტები

### 4. PAY ანგარიში და PAY ბარათი

4.1. **PAY ანგარიში** არის ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვეანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც **PAY სისტემის** მეშვეობით დაკავშირებულია ერთ ძირითად **PAY ბარათთან**.

4.2. **PAY ანგარიში კლიენტს** გაეხსნება **განაცხადის** შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

4.3. **კლიენტს** უფლება აქვს:

4.3.1 **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე **PAY ანგარიში**;

4.3.2 მისცეს **ბანკს დავალებები PAY ანგარიშზე** ოპერაციების საწარმოებლად **კანონმდებლობით** და წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

4.3.3 **განაცხადით** განსაზღვროს **PAY ანგარიშის** ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი და გახარჯვის სქემა;

4.3.4 შეცვალოს **PAY ანგარიშის** ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი ან **გახარჯვის სქემა**, რისთვისაც **ბანკს** გადაუხდის შესაბამის **PAY ანგარიშის** ძირითადი ვალუტა შესაძლოა განისაღვროს შემდეგი ვალუტებით: ლარი, აშშ დოლარი და ევრო, თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული **ბანკსა** და **კლიენტს** შორის დადებული **ხელშეკრულებით;**

4.3.5 წაუყენოს **ბანკს** პრეტენზიები ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, ამონაწერში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ;

4.3.6 შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება ბანკისთვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

4.4. **კლიენტი** ვალდებულია:

4.4.1. **PAY ანგარიშზე** ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში შეატყობინოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკის** მოთხოვნით გადაუხადოს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0.5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ კალენდარულ დღეზე გათვლით;

4.4.2. პასუხი აგოს **განაცხადის** შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს **ბანკს;**

4.4.3. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

4.4.4. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი **PAY ანგარიშის** გადახარჯვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე.

4.5. **ბანკს** უფლება აქვს:

4.5.1. დროებით გამოიყენოს **კლიენტის PAY ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;

4.5.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის შემთხვევაში დაბლოკოს **PAY ანგარიში;**

4.5.3. გადაახდევინოს **კლიენტს** ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული თანხის ან მისი ნაწილის გამოყენებისათვის;

4.5.4. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;

4.6. **ბანკი** ვალდებულია:

4.6.1. დროულად დააკრედიტოს **PAY ანგარიშზე** ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს **PAY ანგარიშიდან** არაუგვიანეს 2 (ორი) **საბანკო დღისა;**

4.6.2. ჩამოწეროს **კლიენტის დავალებით,** ხოლო **კანონმდებლობით** და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში **დავალების** გარეშეც, შესაბამისი თანხები კლიენტის **PAY ანგარიშიდან** მათი კრედიტორების ანგარიშებზე გადასარიცხად;

4.6.3. მიიღოს **კლიენტისაგან** და მისცეს მას ან გასცეს მისი **დავალებით** ნაღდი ფული;

4.6.4. **კლიენტს** ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე გადასცეს **PAY ანგარიშის** ამონაწერი **ბანკში** მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.

4.7. **PAY ბარათის** მიღება

4.7.1. **PAY ბარათის** მისაღებად **კლიენტმა ბანკს** უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი **განაცხადი.**

4.7.2. **ბანკი კლიენტის** მიერ შევსებული **განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამიასდ ამზადებს **PAY ბარათს** (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ PIN-**წვდომის კოდთან** ერთად) და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში. **PAY ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას. **PAY ბარათის** გადაცემა დასტურება **მხარეთა** შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4.7.3. თუ **კლიენტი PAY ბარათის** დამზადებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს **ბანკს PAY ბარათის** მისაღებად ან/და არ გადაიხდის **PAY ბარათის** დამზადების საფასურს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება გააუქმოს **PAY ბარათი.** ასეთ შემთხვევაში **კლიენტს PAY ბარათის** დამზადების საკომისიო (ასეთის არსებობისას) არ უბრუნდება, ხოლო **Sმარტივი სახელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უქმდება.

4.7.4. **PAY ბარათის** დამზადების შემთხვევაში, აღნიშნული ბარათი არის უნიკალური და დაუშვებელია **კლიენტს** დაუმზადდეს ერთი და იგივე სახელის/ნომრის/მობილური ტელეფონის ნომრის მქონე ორი ან მეტი ბარათი.

4.8. **კლიენტის** იდენტიფიკაცია

4.8.1. **PAY ბარათის** მიღებისას **კლიენტს** სავალდებულო წესით მოეთხოვება საკუთარი თავის იდენტიფიკაცია, მიუხედავად **PAY ბარათის** შეკვეთის ან/და მიღების არხისა.

4.8.2. **კლიენტმა** დამატებითი იდენტიფიკაცია უნდა გაიაროს **PAY ბარათის განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიღებული მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში აღნიშნული კოდის მეშვეობით.

4.8.3. **PAY ბარათის** მიღებისას მოკლე ტექსტური შეტყობინებით **კლიენტის** დამატებითი იდენტიფიკაცია არ მოეთხოვება იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენს პენსიონერს.

4.9. ნებადართული ოპერაციები და **PAY ბარათით** სარგებლობა.

4.9.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **PAY ბარათით** განახორციელოს შემდეგი ოპერაციები:

4.9.1.1. **PAY ბარათზე** თანხის შეტანა როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით, **ბანკის** მიერ განსაზღვრული საგადახდო ან/და სხვა დისტანციური არხების საშუალებით;

4.9.1.2. თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის ან/და **ბანკის მომსახურების წერტილების** მეშვეობით;

4.9.1.3. საქონლის ან/და მომსახურების შეძენა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში, ინტერნეტით და სხვა დისტანციური არხების მეშვეობით;

4.9.1.4. **ბანკის მომსახურების წერტილები, ბანკომატებში, ვებ-გვერდი Sმარტივი,** სწრაფი გადახდის ტერმინალების და **ბანკის** მიერ აწყობილი სხვა არხების და ინსტრუმენტების საშუალებით **PAY** ანგარიშზე თანხის ბალანსის შემოწმება;

4.9.1.5. **პროვაიდერებისთვის** გადახდების წარმოება;

4.9.1.6. **P2P** გადარიცხვების მეშვეობით თანხის გადარიცხვა და ჩარიცხვა სხვა **PAY ბარათზე** ან/და **ბანკის** მიერ ემიტირებულ სხვა პლასტიკურ ბარათზე, მათ შორის რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **P2P** გადარიცხვების შესრულება **ბანკის** ელექტრონული არხების საშუალებით; და

4.9.1.7. **კანონმდებლობით** გათვალისწინებული სხვა ნებადართული ოპერაციები.

4.9.2. მხოლოდ **Sმარტივი სახელის** გამოყენებით, პირი უფლებამოსილია **ბანკის მომსახურების წერტილებში** განახორციელოს წინამდებარე პირობების 4.9.1.1 და 4.9.1.5. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციები.

4.9.3. **პროვაიდერების** ჩამონათვალი, რომელთა მომსახურების გადახდაც შესაძლებელია **PAY ბარათის** საშუალებით და ასევე სავაჭრო-მომსახურების ობიექტების ნუსხა, სადაც შესაძლებელია **PAY ბარათის** გამოყენება, **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით.

4.9.4. **ბანკი** უფლებამოსილია **PAY ბარათის მფლობელთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე შეიტანოს ცვლილება **პროვაიდერების** ჩამონათვალში, რაც **ბარათის მფლობელს** ეცნობება **ბანკის** საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის **ბანკის** ვებ გვერდის საშუალებით.

4.9.5. **PAY ბარათზე** არსებული თანხის გამოყენება **ბარათის მფლობელს** შეუძლია როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ, თანხის სრულ ამოწურვამდე. **კლიენტის** მიერ **PAY ბარათით** ტრანზაქციის ინიცირების შემდეგ, **ბანკი კლიენტის** შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე უფლებამოსილია დაბლოკოს **კლიენტის PAY** ანგარიში ტრანზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით არაუმეტეს ერთი თვის ვადით.

4.9.6. **ბანკის** მიერ **PAY ანგარიშზე** ტრანზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით ბლოკის მოხსნა მოხდება **ბანკის** მიერ **PAY ანგარიშის** დაბლოკვიდან ერთ თვეში ან **პროვაიდერ(ებ)ის** ან/და **კლიენტის** მიერ ტრანზაქცი(ებ)ის ინიცირების შედეგად თანხ(ებ)ის მიმღები ნებისმიერი სხვა პირის მიერ **ბანკისათვის** შესაბამისი ტრანზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით ბლოკის მოხსნაზე შეტყობინების შემდგომ.

4.10. **PAY ბარათის** სხვა პირ(ებ)ისთვის გადაცემა.

4.10.1. **მესამე პირის** მიერ **PAY ბარათით** სარგებლობისას (საქართველოს **კანონმდებლობით** ნებადართულ შემთხვევებში), **PAY ბარათის მფლობელს** უფლება ექნება განახორციელოს მხოლოდ ქვემოთჩამოთვლილი ოპერაციები:

4.10.1.1. **კლიენტის კალათაში** დარეგისტრირებული **პროვაიდერ(ებ)ის** გადასახად(ებ)ის გადახდა; ან/და

4.10.1.2. საკუთარი სახსრებით **PAY ბარათზე** თანხის შეტანა **ბანკის მომსახურების წერტილების**, სწრაფი გადახდის ტერმინალების და სხვა ელექტრონული არხების საშუალებით;

4.10.2 **კლიენტის** მიერ სხვა პირისთვის **PAY ბარათის** გადაცემის შემთხვევაში, იგი ვალდებულია სრულად გააცნოს **PAY ბარათის** ახალ მფლობელს **PAY ბარათით** სარგებლობის წესები და წინამდებარე პირობები.

4.10.3 **კლიენტი** პასუხისმგებელია **მესამე პირისთვის PAY ბარათის** გადაცემის შემთხვევაში **PAY ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციასა და **ბანკის** მიმართ წინამდებარე **პირობების** შესაბამისად წარმოშობილ ყოველგვარ უფლებებზე და ვალდებულებებზე.

4.11. **PAY ანგარიშის** გამოყენების შეზღუდვები და ლიმიტები.

4.11.1. **PAY ანგარიშზე** თანხის შეტანა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.11.2. **PAY ანგარიშზე** თანხის ნაღდი სახით შეტანა შესაძლებელია შემდეგი არხების გამოყენებით:

4.11.2.1. **ბანკის** ფილიალები და სერვის-ცეტნრები;

4.11.2.2. სწრაფი მომსახურების ტერმინალები;

4.11.2.3. **ბანკის** მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული სხვა საშუალებები და არხები.

4.11.3. **PAY ანგარიშის** შევსება შესაძლებელია შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

4.11.3.1. ვებ-გვერდი - www.smartivi.ge;

4.11.3.2. **ბანკის** ბანკომატები;

4.11.3.3. **ბანკის** ან სხვა ბანკების ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან/და სხვა ბანკ(ებ)ის ან **მესამე პირ(ებ)ის** მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული არხების საშუალებები;

4.11.3.4. **P2P** გადარიცხვები **ბანკის** მიერ ემიტირებული ნებისმიერი საბანკო პლასტიკური ბარათიდან;

4.11.3.5. **ბანკის** მიერ განვითარებული ელექტრონული ან/და სხვა სახის არხები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია **PAY ანგარიშზე** თანხის შევსება.

4.11.4. **PAY ბარათით** ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მასზე არსებული თანხის ლიმიტის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია **მომსახურების ტარიფებით** და **დანართის** სახით ერთვის წინამდებარე **პირობებს.**

4.12. **კალათ(ებ)ი**

4.12.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკის მომსახურების წერტილების** ან/და **ვებ-გვერდის** საშუალებით შექმნას და მართოს მისთვის სასურველი **კალათ(ებ)ი** და განსაზღვროს მათში შემავალი (შესაბამისი დროისთვის არსებული) **პროვაიდერები.**

4.12.2. თითოეულ **კალათში** შემავალი **პროვაიდერების** რაოდენობა და მათი რედაქტირების პირობები განსაზღვრულია **მომსახურების ტარიფებით**. **ბანკს** ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია შეცვალოს **პროვაიდერების** რაოდენობის შეზღუდვა და პირობები **PAY ბარათისათვის**, რის შესახებაც **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით.

4.12.3. **კლიენტს მომსახურების ტარიფებით** და პირობებით გათვალისწინებული **კალათის** მომსახურების საკომისიოს ზედიზედ 2 (ორი) თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში დარიცხული საკომისიოს დავალიანების სრულ დაფარვამდე შეუწყდება **პროვაიდერ(ებ)ის** გადასახად(ებ)ის კალათ(ებ)ით გადახდის უფლებამოსილება.

4.13. **PAY ბარათის** შეცვლა, დაკარგვა, გაუქმება.

4.13.1. **კლიენტი** ვალდებულია საკუთარი სახსრების დაცვის მიზნით დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს PAY ბარათის** დაკარგვის შესახებ. **კლიენტისგან PAY ბარათის** დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) საათის განმავლობაში **ბანკი** ვალდებულია ადგილობრივად დაბლოკოს საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოყენება. **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს PAY ბარათის** არასანქცირებული გამოყენებით.

4.13.2. დაზიანებული ან/და დაკარგული **PAY ბარათის** აღდგენა განხორციელდება **კლიენტის** მიერ **ბანკის მომსახურების წერტილებში** შესაბამისი **განაცხადის** შეტანის შემდეგ **მომსახურების ტარიფების** და **პირობების** შესაბამისად.

4.13.3. **PAY ბარათის** მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **PAY ბარათი** და **კლიენტს** დაუბრუნოს **PAY ანგარიშზე** რიცხული ნაშთი **PAY ბარათის** ვადის გასვლიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში, ხოლო **PAY ბარათის** გაუქმებიდან **PAY ანგარიშზე** 1 (ერთი) წლის განმავლობაში დადებითი ნაშთის და ბრუნვის არარსებობის შემთხვევაში დახუროს **PAY ანგარიში კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე.

4.13.4. **PAY ბარათის** მოქმედების ვადის გასვლისას, **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ მომსახურების საკომისიოს დავალიანების არსებობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს **კლიენტისთვის** ახალი **PAY ბარათის** დამზადებაზე.

4.13.5. **ბანკს** ნებისმიერ დროს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ უარი განუცხადოს **კლიენტს PAY ბარათის** აღდგენაზე ან/და გაცემაზე.

## 5. ვებ-გვერდი Sმარტივი

5.1. **ვებ-გვერდი Sმარტივის** საშუალებით **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს აწარმოოს ყოველგვარი გადახდები **პროვაიდერებთან.**

5.2. **პროვაიდერებთან** გადახდების წარმოება **კლიენტს** შეუძლია როგორც ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლით, ასევე რეგისტრაციის გარეშე.

5.3. ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გასავლელად **კლიენტი** ვალდებულია შეავსოს ელექტრონული **განაცხადი** და მიუთითოს **ბანკის მომსახურების წერტილები**, რომელშიც მას **(კლიენტს)** სურს **PAY ბარათის** მიღება.

5.4. **PAY ბარათის** ვებ-გვერდის საშუალებით შეკვეთის შემთხვევაში, **კლიენტს PAY ბარათი** გადაეცემა **ბანკის** იმ **მომსახურების წერტილებში**, რომელიც **კლიენტმა** მიუთითა ვებ-გვერდის გამოყენებით **განაცხადის** შევსებისას. **PAY ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.

5.5. **კლიენტის** მიერ, ვებ-გვერდზე **Sმარტივი სახელის** შერჩევიდან, 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში **მოკლე ტექსტური შეტყობინებით** მიღებული კოდის მეშვეობით რეგისტრაციის დაუსრულებლობის შემთხვევაში, **კლიენტის** მიერ არჩეული **Sმარტივი სახელი** გაუქმდება და **კლიენტი** ვალდებული იქნება თავიდან აირჩიოს სასურველი **Sმარტივი სახელი**.

## 6. eMoney ანგარიში და eMoney ბარათი

6.1. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის ტერმინი **”ბარათი”** განიმარტება, როგორც ”eMoney ბარათი”.

6.2. **eMoney ანგარიში** არის ფიზიკური პირის მონოვალუტური ანგარიში, რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით დაკავშირებულია ერთ ძირითად **eMoney ბარათთან.**

6.3. **eMoney ანგარიში** გაეხსნება **კლიენტს განაცხადის** შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.

6.4. **კლიენტს** უფლება აქვს:

6.4.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე **eMoney ბარათის ანგარიში;**

6.4.2. მისცეს **ბანკს დავალებები eMoney ანგარიშზე** ოპერაციების საწარმოებლად **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

6.4.3. წაუყენოს **ბანკს** პრეტენზიები **კანონმდებლობით** დადგენილ ვადაში. აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, ამონაწერში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ;

6.4.4. შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება ბანკისთვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

6.5. **კლიენტი** ვალდებულია:

6.5.1. **eMoney ანგარიშზე** ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში შეატყობინოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკის** მოთხოვნით

გადაუხადოს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0.5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ კალენდარულ დღეზე გათვლით.

6.5.2. პასუხი აგოს **განაცხადის** შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს **ბანკს;**

6.5.3. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, **PAY ანგარიშის** მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

6.5.4. გადაუხადოს **ბანკს PAY ანგარიშზე** ოვერლიმიტის სრული თანხა და საკომისიო **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

6.5.5. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი **eMoney ანგარიშის** გადახარჯვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება.

6.6. **ბანკს** უფლება აქვს:

6.6.1. დროებით გამოიყენოს **კლიენტის** ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით.

6.6.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის შემთხვევაში დაბლოკოს ანგარიში.

6.6.3. გადაახდევინოს **კლიენტს** ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული თანხის ან მისი ნაწილის გამოყენებისათვის.

6.6.4. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია.

6.7. **ბანკი** ვალდებულია:

6.7.1. დროულად დააკრედიტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ანგარიშიდან არაუგვიანეს 2 (ორი) **საბანკო დღისა.**

6.7.2. ჩამოწეროს **კლიენტის დავალებით,** ხოლო **კანონმდებლობით** და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში **დავალების** გარეშეც, შესაბამისი თანხები **კლიენტის** ანგარიშიდან მათი კრედიტორების ანგარიშებზე გადასარიცხად.

6.7.3. მიიღოს **კლიენტისაგან** და მისცეს მას ან გასცეს მისი **დავალებით** ნაღდი ფული.

6.7.4. **კლიენტს** ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე გადასცეს ანგარიშის ამონაწერი **ბანკში** მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.

6.8. **eMoney ანგარიშზე** განხორციელებული ოპერაციები:

6.8.1. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მიიღოს და იმოქმედოს მისი **დავალებების** შესაბამისად, რომელსაც **კლიენტი ბანკს** მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან **ბანკისთვის** მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის დავალებები** წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, **კლიენტის** მიერ არ არის ხელმოწერილი, **ბანკს** აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს ისინი, თუ დაცულია **ბანკში** დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა.

6.8.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა **ანგარიშზე** მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ.

6.8.3. ზოგიერთ შემთხვევაში **ბანკმა** შეიძლება არ მიიღოს **eMoney ანგარიშზე** შენატანი და შესაძლოა მოსთხოვოს **კლიენტს** ანგარიშის დახურვა.

6.9. **eMoney ბარათი** წარმოადგენს ვირტუალური ან დაბეჭდილი სახით VISA ტიპის ბარათს, რომელიც საშუალებას აძლევს **ბარათის მფლობელს** განახორციელოს წინამდებარე პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ოპერაციები.

6.10. **eMoney ბარათ(ებ)ს ბანკი** ამზადებს **კლიენტის** მიერ შევსებული **განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ PIN-**წვდომის კოდთან** ერთად) ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.

6.11. **კლიენტს** შეუძლია **ბანკისგან** მოითხოვოს ნებისმიერი **მესამე პირისათვის** დამატებითი ბარათ(ებ)ის და მათი შესაბამისი **წვდომის კოდების** გაცემა. **დამატებითი ბარათის** გაცემაზე **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს** აღნიშნული **პირობები.** ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია, გადაიხადოს **დამატებითი ბარათის** და **წვდომის კოდების** გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები. აღნიშნული ოპერაციის ხარჯები მოიცავს ანგარიშიდან ჩამოწერილ თანხებს დამატებითი ბარათის ბანკისთვის დაბრუნების შემდეგ.

6.12. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს,** გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს.** ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალებს ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია დამატებითი ბარათ(ებ)ის სათანადო გამოყენებისთვის.

6.13. **ბარათი** შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ უფლებამოსილმა მფლობელმა. ნებისმიერი **წვდომის კოდ(ებ)ის** გადაცემა **მესამე პირ(ებ)ისთვის** დაუშვებელია.

6.14. ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია **ბანკის** მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

6.15. თუ ელექტრონული **წვდომის კოდ(ებ)ით** განხორციელებული ოპერაციების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, საბანკო ოპერაცია განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

6.16. თუ უფლებამოსილი მფლობელი **ბარათის** დამზადებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს **ბანკს ბარათის** მისაღებად, **ბარათი** უქმდება. **კლიენტს ბარათის** მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

6.17. **eMoney ბარათის** ვადის ამოწურვის შემთხვევაში **ბარათი** გაუქმდება.

6.18. ვირტუალური და დაბეჭდილი ბარათის მოქმედების ვადებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დაბეჭდილი **ბარათის** მოქმედების ვადას.

6.19. **კლიენტს** უფლება აქვს:

6.19.1. **ბარათით** ჩაატაროს ოპერაციები მასზე არსებული ნაშთის ფარგლებში.

6.19.2. წერილობით შეატყობინოს **ბანკს** ბარათის ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი ბარათის დამზადება.

6.20. **ბანკს** უფლება აქვს:

6.20.1. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი ბარათით.

6.20.2. დაბლოკოს **ბანკში** არსებული კლიენტის სხვა ანგარიშები და მათზე რიცხული თანხები მიმართოს ოვერლიმიტის დასაფარავად წინასწარ შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ.

6.20.3. გაუგზავნოს უფლებამოსილ მფლობელს შეტყობინება ბანკისათვის ბარათის დაბრუნების მოთხოვნით, თუ ოპერაციების ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბარათი გამოიყენება უკანონო ქმედებებისთვის;

6.20.4. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტს** ანგარიშიდან ჩამოაწეროს (არსებობის შემთხვევაში) ბარათის დაკარგვიდან **ბანკში** შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში ბარათით ჩატარებული ოპერაციების ექვივალენტი სახსრები;

6.20.5. **კლიენტის** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ ხელშეკრულების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები ბანკისადმი კლიენტის დავალიანების ამოსაღებად;

6.20.6. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA International-ის, MasterCard Europe-ის ან/და UnionPay-ს საგადამხდელო სისტემების მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების შესახებ დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

6.20.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს** ბარათ(ებ)ის გაცემასა და/ან აღდგენაზე;

6.20.8. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტზე გაცემული ყველა ბარათით/დამატებითი ბარათით ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA International-ის და VISA Europe-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ექვივალენტი სახსრები ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.

6.21. **კლიენტი** იღებს ვალდებულებას:

6.22.1. შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი.

6.22.2. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ ოპერაციებზე არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას.

6.22.3. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს **ბარათის** მეშვეობით განხორციელებულ ყველა ოპერაციას და საჭიროების შემთხვევაში 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით გააპროტესტოს ამ ოპერაციების შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში ბანკისათვის პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება.

6.22.4. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს.** ყოველი ზეპირი განაცხადი უნდა დადასტურდეს წერილობით და დამოწმდეს **კლიენტის** ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს** (წერილობითი შეტყობინება **ბანკში** უნდა შევიდეს ზეპირი განცხადებიდან ერთი საბანკო დღის განმავლობაში. წერილობით შეტყობინებად შეიძლება ჩაითვალოს ფაქსით მიღებული შეტყობინება). შეტყობინების მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში, **ბანკის** მიერ **ბარათის** დაკარგვის შესახებ **განაცხადის** მიღებამდე **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **ბარათით** წარმოებულ ყველა ოპერაციაზე პასუხს აგებს კლიენტი ან/და გარემოებებიდან გამომდინარე **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**.

6.22.5. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის **ბანკს.**

6.22.6. **ბანკის** მიერ **ბარათის** ვადის ამოწურვის, გაუქმების ან ხმარებიდან ამოღების შემთხვევაში დააბრუნოს **ბარათი** შეტყობინებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.22.7. **ბარათით** შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს სავაჭრო წერტილიდან შეძენილი საქონლის ღირებულება ნაღდი ფულის სახით. ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამის **eMoney ანგარიშზე.**

6.22.8. ჩაატაროს **ბარათით** ოპერაციები მოცემული პირობების შესაბამისად.

6.22.9. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და **ბარათ(ებ)ის** მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს ბარათ(ებ)ის დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები.

6.22. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი:

6.22.1. **ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი **განაცხადის** მიღებამდე და სტოპ სიაში მოთავსების მიზნით **კლიენტის** მიერ საკომისიოს გადახდამდე **ბარათით** განხორციელებულ უკანონო ოპერაციაზე;
6.22.2. **ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო ოპერაციაზე;
6.22.3. ცრუ შეტყობინების შედეგად **ბარათის** ბლოკირებაზე;
6.22.4. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;
6.22.5. **ბარათის მფლობელსა** და **P2P** მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო სიტუაციებზე;
6.22.6. დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;
6.22.7. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის კანონიერებაზე;
6.22.8. **ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვისას უფლებამოსილი მფლობელის მხრიდან დარღვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები.
6.23. **კლიენტი** პასუხისმგებელია:
6.23.1. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული ყველა არაკანონიერი ოპერაციისათვის;
6.23.2. **დამატებითი ბარათით** სარგებლობის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებისთვის;
6.23.3. დამდგარი ზიანისთვის, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, **წვდომის კოდი** ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური ბარათ(ებ)ისა და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა **მესამე პირ(ებ)ისთვის;**
6.23.4. ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;
6.23.5. **ბარათის** და/ან **წვდომის კოდის** გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის ოპერაციაზე;
6.23.6. **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო;

## 7. eMoney ელექტრონული ანგარიში

7.1. **eMoney ელექტრონული ანგარიშით** მომსახურება წარმოადგენს **ბანკის** და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და eMoney-ს კლიენტს ეძლევა საშუალება **PAY ანგარიშის** ქვეანგარიშის სახით იქონიოს **eMoney ელექტრონული ანგარიში** კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ ანგარიშზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები.
7.2. eMoney ანგარიშის გასახსნელად **კლიენტი** ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია eMoney ვებ-გვერდზე და მოქმედი **კანონმდებლობით** გათვალისწინებული იდენტიფიკაციის პროცესი. რეგისტრაციის პროცესში, ანგარიშის გასახსნელად **კლიენტი** ვალდებულია დაეთანხმოს eMoney ანგარიშის გამოყენების პირობებს.
7.3. eMoney ანგარიშის მომსახურების პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი eMoney ანგარიშის მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვეგვერდზე - www.emoney.ge და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობების **დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.
7.4. **ბანკი** იტოვებს უფლებას, რომ ცალმხრივად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად შეაჩეროს eMoney ანგარიშის (ან eMoney ანგარიშის ნებისმიერი ცალკეული ფუნქცია ან ფუნქციები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბალანსის შევსებას, თანხების მიღებას ან/და თანხების განაღდებას) მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია(ები) ბანკის ან/და eMoney-ს შეხედულებით ჩაითვლება, რომ (i) განხორციელდა წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ან/და (ii) არის საეჭვო და დაკავშირებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, თაღლითობასა ან/და სხვა უკანონო საქმიანობასთან. **ბანკი** ან/და eMoney შეეცდება შეატყობინოს მერჩანტს ასეთი მომსახურების შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ, თუ მათ ასეთი შეტყობინების მიწოდება აკრძალული არ აქვთ **კანონმდებლობით,** სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტით.

## 8. ელექტრონული არხებით მომსახურება

8.1. ელექტრონული არხებით მომსახურება წარმოადგენს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის,** მის მიერ **PAY ბარათით** სარგებლობისას შეთავაზებულ ელექტრონული მომსახურების სახეს, რომელიც შეზღუდვის გარეშე მოიცავს შემდეგი სახის სერვისებს: (ა) ტრანზაქცი(ებ)ის განხორციელებას SMS შეტყობინების ან/და **USSD მენიუს** საშუალებით; (ბ) ტრანზაქცი(ებ)ის განხორციელებას **Sმარტივი მობილური აპლიკაციის** საშუალებით ან/და (გ) ტრანზაქცი(ებ)ის განხორციელებას სოციალური ქსელ Facebook-ზე არსებული აპლიკაციის საშუალებით.
8.2. ელექტრონული არხებით მომსახურებისთვის **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საკომისიო მომსახურების **ტარიფების** და პირობების შესაბამისად.
8.3. ელექტრონული არხებით მომსახურების გამოყენებისთვის, **კლიენტს** უნდა გააჩნდეს მობილური ტელეფონი და შესაბამისი სატელეფონო ნომერი, რომლის მეშვეობითაn იგი გააგზავნის **საგადახდო დავალებებს** ან/და მიიღებს ინფორმაციას.
8.4. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **ბანკისთვის** მიწოდებული ტელეფონის ნომერი **კლიენტის** მფლობელობაშია და თუ **კლიენტი** არ შეატყობინებს **ბანკს** ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აღნიშნული ტელეფონიდან გაგზავნილი/მიღებული ინფორმაცია ჩაითვლება **კლიენტის** მიერ გაგზავნილად/მიღებულად.
8.5. **კლიენტი** აცხადებს და თანხმობას იძლევა, რომ მის მიერ წინამდებარე მუხლში აღნიშნული არხებით **ბანკისათვის საგადახდო დავალების** გაგზავნა განიხილება **კლიენტის** მიერ ელექტრონულ **საგადახდო დავალებაზე** ხელმოწერად და შესაბამისად **ბანკი** უფლებამოსილი იქნება შეასრულოს **კლიენტის** მიცემული **საგადახდო დავალება** ან/და სხვა ტრანზაქცია **კლიენტის** შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე.
8.6. **კლიენტი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ტელეფონის ნომრის ცვლილების, ტელეფონის დაკარგვის, **კლიენტის** მიერ ტელეფონის მფლობელობის გაუქმების ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ელექტრონული არხებით მომსახურების მიწოდებაზე.
8.7. **კლიენტი** უფლებამოსილია განახორციელოს **მესამე პირებისთვის** ტრაზაქცი(ებ)ის გამოუთხოვადი შეთავაზება, რა შემთხვევაშიც **ბანკს** უფლება აქვს მოახდინოს შეთავაზებული ტრაზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის დაბლოკვა ან/და ჩამოჭრა კლიენტის **PAY ანგარიშიდან.**
8.8. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** შეასრულოს მის მიერ მიცემული **საგადასახადო დავალებები** ან/და დაამუშავოს ნებისმიერი ან/და ყველა ტრანზაქცია, მიიღოს ელექტრონული არხების მომსახურების გადასახადი ან გადაუხადოს თანხები **მესამე პირებს**, ისე, როგორც ამას მოითხოვს **კლიენტი.**
8.9. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ მიცემული **დავალების** შესასრულებლად მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ განახორციელოს **დავალებები,** რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას ან/და გადაცემას.
8.10. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **ბანკს,** საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა **დავალება,** რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა ტელეფონის მეშვეობით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკს შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას როგორც მტკიცებულება.
8.11. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **კლიენტის** საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის **დავალება კლიენტის PAY ანგარიშზე** საკმარისი თანხის არარსებობის ან/და **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** არასწორი (წინამდებარე **პირობებთან** ან/და **ბანკის** მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის პირობებთან შეუსაბამო) შეტყობინების გაგზავნის ან **ბანკის** მიმართ **კლიენტის** დავალიანების არსებობის შემთხვევაში.
8.12. **კლიენტი** ვალდებულია საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის **დავალება SMS** შეტყობინების, **USSD მენიუს** ან/და **Sმარტივი აპლიკაციის** საშუალებით გააგზავნოს **ბანკის** მიერ ვებ-გვერდით ან/და სხვა სახით გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი ფორმატით.
8.13. **ბანკი** იტოვებს უფლებას, **კლიენტის** ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე პერიოდულად განახორციელოს ელექტრონული არხებით მომსახურებაში ცვლილებები, გააუმჯობესოს ან/და შეცვალოს მისი პირობები.
8.14. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკი** უფლებამოსილია ელექტრონული არხებით მომსახურებაზე **კლიენტის** ყოველგვარი შეტყობინების გარეშე დააწესოს ნებისმიერი და ყველა სახის შეზღუდვა თუ ლიმიტი.
8.15. **კლიენტის** იდენტიფიკაცია
8.15.1. **კლიენტის** მიერ ელექტრონული არხებით მომსახურების განხორციელებისას **კლიენტის** იდენტიფიკაციის წესებს და პროცედურებს ადგენს **ბანკი.**
8.15.2. ელექტრონული არხებით სარგებლობისას **კლიენტის** იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ელექტრონული არხებით მომსახურებისას **კლიენტის** იდენტიფიცირება ხდება მის მიერ აუტენტირების დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, რომელიც **კლიენტს** საშუალებას აძლევს მისი **(კლიენტის)** ნამდვილობის დადგენის შემთხვევაში ისარგებლოს ელექტრონული არხების მომსახურებით. ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია **ბანკის** მიერ დადგენილი ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ითვლება სათანადოდ შესრულებულად **კლიენტის** მიერ და შესაბამისი სამართლებრივი ძალის მქონედ.
8.15.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ყოველგვარი შეტყობინების გარეშე დააწესოს დამატებითი მოთხოვნები კლიენტის იდენტიფიცირებისათვის.
8.15.4. **კლიენტი** ვალდებულია უსაფრთხოდ შეინახოს ელექტრონული არხებით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **წვდომის კოდები. კლიენტს** ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი **მესამე პირისათვის.**
8.15.5. **ბანკი** და **კლიენტი** ვალდებულნი არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალურობა.
8.15.6. საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარვის შემთხვევაში **კლიენტი** ვადლებულია დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს,** რის საფუძველზეც **ბანკი** მოახდენს **კლიენტის** ანგარიშზე ელექტრონული არხებით მომსახურების შეჩერებას.
8.16. პასუხისმგებლობა ელექტრონული არხებით სარგებლობისას

8.16.1. **კლიენტი** ნებისმიერ ვითარებაში თავად არის პასუხისმგებელი **ბანკში** ელექტრონული არხების საშუალებით გაგზავნილ **დავალებებზე.**

8.16.2. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს და თანხმდება, რომ ელექტრონული არხების საშუალებით გაგზავნილი საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის **დავალება** არ არის უსაფრთხო და შესაბამისად არის ელექტრონული არხების სისტემაში **მესამე პირების** უკანონო შეღწევის რისკი, რასაც შესაძლებელია მოყვეს ზიანი, რაზეც **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი.

8.16.3. **ბანკი** დაეყრდნობა კლიენტისგან **SMS შეტყობინებით, USSD მენიუს** და **Sმარტივი აპლიკაციის** საშუალებით მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ **დავალებას** და **ბანკი** არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნის პიროვნება ან გამოგზავნილი **დავალების** ნამდვილობა. **კლიენტი** არანაირ ვითარებაში არ შეედავება **ბანკს** იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ **დავალებებს. კლიენტი** პასუხისმგებელია ტელეფონის არაავტორიზებულ გამოყენებაზე **მესამე პირების** მხრიდან.

8.16.4. **ბანკი** არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და **კლიენტისთვის** ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელის მიმწოდებელი კომპანია. ასევე არ არის პასუხისმგებელი კლიენტსა და აღნიშნულ ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელის მიმწოდებელს შორის წარმოშობილ სადაო სიტუაციაზე.

8.16.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, **ბანკის** ელექტრონულ არხებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით.

8.16.6. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული არხების სისტემის ფუნქციონირებაზე.

8.16.7. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი მობილური ტელეფონის, ქსელის ან ტელეფონის პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით **მესამე პირის** მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

8.16.8. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ზიანზე, რომელიც მიადგა **კლიენტის** მონაცემებს, პროგრამულ უზურნველყოფას, მობილურ ტელეფონს, ტელეკომუნიკაციებს ან სხვა მოწყობილობებს და რაც გამოწვეულია **კლიენტის** მიერ ელექტრონული არხებით სარგებლობისას.

8.16.9. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: **ბანკს** არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი საგადახდო ან/და სხვა ტრანზაქციის **დავალებ(ებ)ი;** კლიენტმა **ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია.

8.16.10. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე ელექტრონულ ვირუსზე ან ვირუსებზე, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს კლიენტის მობილურ ტელეფონს.

8.16.11. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ **კლიენტის PAY ანგარიშზე** არსებული თანხები ექვემდებარება სამართლებრივ შეზღუდვას.

## 9. Sმარტივი კონსიერჟი

9.1. Sმარტივი კონსიერჟი წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებულ ავტომატიზირებული მომსახურების სახეს, რომელიც მოიცავს ორი სახის სერვისს (ოფციას): ა) **PAY ანგარიშიდან** ავტომატურ გადახდებს და ბ) მოკლე ტექსტური შეტყობინებით გადახდის ვალდებულების შეხსენების (SMS შეხსენება) სერვისს.

9.2. Sმარტივი კონსიერჟის მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია **კლიენტის** მიერ ვებ-გვერდის ან/და **ბანკის** ნებისმიერი **მომსახურების წერტილის** საშუალებით.

9.3. Sმარტივი კონსიერჟის მომსახურებისათვის **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საკომისიო მომსახურების ტარიფების და პირობების შესაბამისად.

9.4. **ბანკი** უფლებამოსილია Sმარტივი კონსიერჟის მომსახურების საკომისიო დააწესოს როგორც ინდივიდუალურად ცალკეული **პროვაიდერ(ებ)ისათვის,** ასევე ერთობლივად **კალათ(ებ)ისთვის.**

## 10. PAY ანგარიშიდან ავტომატური გადახდები

10.1. ავტომატური გადახდებით მომსახურება გულისხმობს **კლიენტის PAY ანგარიშიდან პროვაიდერ(ებ)ის** მომსახურების საფასურის გადარიცხვას **კლიენტის** შემდგომი თანხმობის გარეშე, **კლიენტის განაცხადში** მითითებული ინფორმაციის და **კლიენტის PAY ანგარიშზე** დავალიანების შემოწმების საფუძველზე.

10.2. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და **PAY ანგარიშის** განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

10.3. **ბანკი** უფლებამოსილია:

10.3.1. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა **კლიენტის PAY ანგარიშზე** არასაკმარისი თანხის არსებობისას;

10.3.2. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე **ბანკის** წინაშე **კლიენტის** დავალიანების არსებობისას.

## 11. SMS შეხსენება

11.1. SMS შეხსენება წარმოადგენს მომსახურებას, რომლითაც **კლიენტის განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით **ბანკი** აცნობებს **კლიენტს** არსებული **პროვაიდერ(ებ)ის** მიმართ კომუნალური, საკომუნიკაციო ან/და სხვა სახის დავალიანების არსებობის და გადახდის ვალდებულების შესახებ;

11.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოწვეულია ბანკისგან დამოუკიდებელი, მათ შორის რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ტექნიკური, მიზეზების გამო.

11.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმირი მსგავსი ვითარების შედეგად Sმარტივი კონსიერჟის მომსახურებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობაზე ან/და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

11.4. **კლიენტი** უფლებამოსილია ვებ-გვერდის ან/და **ბანკის მომსახურების წერტილების** საშუალებით გააუქმოს და შემდგომ თავიდან გაააქტიუროს Sმარტივი კონსიერჟის მომსახურება.

11.5. Sმარტივი კონსიერჟის მომსახურების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გადახდილი Sმარტივი კონსიერჟის მომსახურების საკომისიო მომსახურების ტარიფებისა და პირობების შესაბამისად.

## 12. @smartivi.ge ელექტრონული საფოსტო მომსახურება

12.1. **ბანკი** უზრუნველყოფს **კლიენტის** მიერ ინტერნეტით, SMTP, POP3 და IMAP4 პროტოკოლების გამოყენებით ელექტრონული ფოსტის მიღებისა და გაგზავნის საშუალებას და ელექტრონული ფოსტით სარგებლობას ვებ-ბრაუზერის საშუალებით. **ბანკი** არ არის ვალდებული და შესაბამისად პასუხისმგებელი კლიენტის ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფით.

12.2. **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ მის მიერ რეგისტრაციის პროცესში მის შესახებ მითითებული ინფორმაცია არის ნამდვილი, სრული და ზუსტი. **კლიენტის** მიერ არასრული, დაუზუსტებელი ან/და ტყუილი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს კლიენტის მიერ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობის უფლება.

12.3. **ბანკი** არ ახორციელებს ელექტრონული გზავნილის და მასთან დაკავშირებული ელექტრონული ფაილის შინაარსის მონიტორინგს, ცენზურას ან/და მის შესწორებას. **კლიენტი** პასუხისმგებელია მათ მიერ გაგზავნილი ელექტრონული საფოსტო გზავნილის და მასთან დაკავშირებული ელექტრონული ფაილის შინაარსზე.

12.4. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს კლიენტისთვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე დააწესოს ნებისმიერი და ყველა სახის შეზღუდვა და ლიმიტი @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობაზე.

12.5. თუ სხვაგვარი შეთანხმება არ იქნა, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს **ბანკის** ან/და მისი რომელიმე შვილობილი ან/და მონათესავე საწარმოს ან/და მათ ცალკეული პროდუქტის თუ მომსახურების აღმნიშვნელი სასაქონლო ნიშანი, ლოგო, დომენის სახელწოდება და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ნიშნები.

12.6. **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ იგი არ გამოიყენებს @smartivi.ge ელექტრონული ფოსტას კომერციული რეკლამის, აგიტაციის, რელიგიური ან/და პოლიტიკური იდეების პროპაგანდისთვის; არ გამოიყენებს ელექტრონულ ფოსტას ისეთი გზავნილის გასაგზავნად, რომელიც წარმოადგენს მუქარას ან/და შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს ან/და სხვაგვარად არღვევს საქართველოს ან/და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; ასევე ისეთი გზავნილის გასაგზავნად ან/და მისაღებად რომელიც შეიცავს ვირუსს ან/და სხვა პროგრამულად საშიშ ელექტრონულ ინფორმაციას.

12.7. **კლიენტი** ვალდებულია სათანადო უფლებამოსილების გარეშე არ გამოიყენოს @smartivi.ge ელექტრონული ფოსტა ისეთი დოკუმენტის ან/და ელექტრონული ფაილის გადასაცემად ან/და მისაღებად, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით, შეიცავს სავაჭრო საიდუმლოებას ან წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტს.

12.8. **კლიენტი** ვალდებულია @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას არ განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

12.8.1. არა გააგზავნოს სპამი - მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისთვის განკუთვნილი მასიური ან/და პერსონალიზირებული შეტყობინება, რომელიც არ არის მოთხოვნილი სპამის ადრესატის მიერ და მისი მიღება არ არის დამოკიდებული ადრესატის სურვილზე.

12.8.2. არ გააგზავნოს, ატვირთოს, გაავრცელოს ან/და სხვაგვარად შესთავაზოს შეურაცხმყოფელი ან/და უცენზურო შინაარსის მქონე, თაღლითური ან/და სხვაგვარად მიუღებელი ინფორმაცია ან/და მონაცემი.
12.8.3. არ გაავრცელოს კომპიუტერული ვირუსები ან/და სხვაგვარად დეფექტის მქონე და დაზიანებული ფაილები ან მონაცემები, რომელმაც შესაძლოა ზიანი გამოიწვიოს.
12.8.4. არ გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია ან/და მონაცემები, რომელიც დაუშვებელია და საზიანოა არასრულწლოვანთათვის.
12.8.5. არ გამოიყენოს სხვისი სახელი და მონაცემები.
12.8.6. უკანონოდ, ნებართვის გარეშე არ გადასცეს ან სხვაგვარად არ გამოიყენოს სხვისი ინტელექტუალური საკუთრება.
12.8.7. არ მოახდინოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების წაქეზება.
12.8.8. @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით საშუალებით არ განახორციელოს არალეგალური საქმიანობა.
12.9. **ბანკი** იტოვებს უფლებას, რაზედაც **კლიენტი** წინასწარ აცხადებს უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას, შეაჩეროს ან/და გააუქმოს **კლიენტის** ელექტრონული ფოსტა, **კლიენტის** მიერ ზემოთაღნიშნული რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში.
12.10. **კლიენტი** პასუხისმგებელია საკუთარი საფოსტო ანგარიშის კონფიდენციალურობაზე. იგი ვალდებულია არ გადასცეს შეინახოს თავისი პაროლი და არ გადასცეს იგი სხვა **მესამე პირებს.** იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დააფიქსირებს მის ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებულ შეღწევას ან/და ელექტრონული ფოსტის არაავტორიზებულ გამოყენებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** და აცნობოს აღნიშნულის შესახებ.
12.11. **ბანკი** უფლებას იტოვებს, საკუთარი შეხედულებისამებრ და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობასთან დაკავშირებულ ფუნქციური და ოპერაციული გამოყენების სპეციფიკაციებში.
12.12. **ბანკი** უფლებას იტოვებს, **კლიენტის** მიერ რეგისტრაციისას არასრული ან/დ არასწორი სარეგისტრაციო მონაცემების მოწოდების შემთხვევაში შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს კლიენტის ელექტრონული ფოსტა.
12.13. პასუხისმგებლობა @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას
12.13.1. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს, რომ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი **მესამე პირის** მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.
12.13.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობის დროს მის მიერ გაგზავნილი და მიღებული ელექტრონული საფოსტო გზავნილის შინაარსზე და მის კანონიერებაზე.
12.13.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტისთვის** მის ან/და სხვა **მესამე პირების** მიერ მარკეტინგული ან/და სხვა მიზნებისათვის გაგზავნილი საფოსტო გზავნილის შინაარსზე და ასევე იმ პროდუქციაზე და მომსახურებაზე რომელსაც **მესამე პირები** სთავაზობენ კლიენტს.
12.13.4. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით **მესამე პირის** მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.
12.13.5. გარდა ამისა, **ბანკი** პასუხს არ აგებს არანაირ არასასურველ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით სარგებლობის დროს მოკლე ან ხანგრძლივმა წყვეტებმა, დაყოვნებებმა ან ინტერნეტის შეფერხებით მუშაობამ ელექტროენერგიის გამორთვის, სატელეფონო ხაზის გაუმართაობის ან/და დაზიანების, ინტერნეტის შეფერხებით მუშაობის ან/და ბანკის კონტროლს გარეთ მყოფი გარემოებების შედეგად.
12.13.6. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ან/და მონაცემი რომელიც ჩამოტვირთულია ან/და სხვაგვარად არის მოპოვებული @smartivi.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით და რომლის გამოყენებამ ან/და გამოუყენებლობამ გამოიწვია **კლიენტის** კომპიუტერული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის ზიანი, კლიენტის რაიმე მონაცემის ან/და ინფორმაციის დაკარგვა, წაშლა ან/და დაზიანება წარმოადგენს კლიენტის რისკს და პასუხისმგებლობას და შესაბამისად ბანკი თავისუფლდება ნებისმიერი და ყველა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, რომელიც მიადგა **კლიენტს** ზემოთჩამოთვილი გარემოებ(ებ)ის დადგომით.
12.13.7. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ პროდუქციაზე ან/და მომსახურებაზე, რომელიც **კლიენტის** მიერ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით გამოყენებით იქნა შეძენილი ან/და სხვაგვარად მიღებული.
12.13.8. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ @smartivi.ge ელექტრონული ფოსტით გამოყენებისას ელექტრონული საფოსტო გზავნილის წაშლის ან/და მისი შეუნახავობისთვის.

## 13. ქულების აღრიცხვის პროგრამა

13.1. **ქულების** აღრიცხვის პროგრამით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ **ბრენდირებული PAY ბარათის** (შემდგომში - **აგრო ბარათი**) მფლობელების მიერ.
13.2. **ქულების** ჩარიცხვა, კორექტირება ან/და მისი გაუქმება სპეციალურ **PAY ანგარიშზე** ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის მიერ **ბანკთან** არსებული ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი **დავალებ(ებ)ის** შესაბამისად.
13.3. **ქულების** პროგრამაში გაწევრიანება ხდება ავტომატურად **აგრო ბარათის** გააქტიურების და **ბარათის მფლობელისათვის** სარგებლობაში გადაცემისას.
13.4. ჩარიცხული **ქულის** საფუძველზე **აგრო ბარათის** მფლობელს შეუძლია პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მითითებული მერჩანტებისგან შეიძინოს მხოლოდ პარტნიორი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მომსახურება ან/და პროდუქცია.
13.5. ჩარიცხული **ქულის** ღირებულება, აგრეთვე მისი გამოყენების ადგილი (მერჩანტი) ყოველ კონკრეტულ ჯერზე განისაზღვრება პარტნიორი ორგანიზაციის მიერ.
13.6. პროდუქციის/მომსახურების შეძენის მიზნით **აგრო ბარათის** მფლობელი მერჩანტთან განთავსებულ **ბანკის** პოს-ტერმინალში ატარებს **აგრო ბარათს. აგრო ბარათიდან** პარტნიორი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ოდენობით ხორციელდება **ქულების** ჩამოჭრა. ტრანზაქციის შესახებ ეცნობება პარტნიორ ორგანიზაციას, რის საფუძველზეც პარტნიორი ორგანიზაცია მერჩანტს აუნაზღაურებს გასხვისებული მომსახურების ან/და საქონლის საფასურს.
13.7. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს უაქცეპტოდ ჩამოაჭრას/გაანულოს **კლიენტს** სპეციალურ **PAY ანგარიშზე** არსებული **ქულები** (მათ შორის და არა მარტო შეცდომით ჩარიცხული ქულები).
13.8. **ბარათის მფლობელი** არ არის უფლებამოსილი **მესამე პირებს** დაუთმოს ან/და **მესამე პირებს** გადასცეს ჩარიცხული ქულა.
13.9. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი პროვაიდერი ორგანიზაციის ან/და მერჩანტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე.
13.10. **ბანკსა** და პარტნიორ ორგანიზაციას შორის შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაუქმების შემთხვევაში ჩარიცხული **ქულები** ექვემდებარება ანულირებას.

## 14. PAY ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა

14.1. წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **ბანკი პირობებისა** და **ტარიფების** გათვალისწინებით **კლიენტის PAY ანგარიშზე** ყოველი კალენდარული დღის ბოლოს არსებულ დადებით ნაშთზე დაარიცხავს საპროცენტო სარგებელს.
14.2. **PAY ანგარიშზე** საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით წინამდებარე **პირობების** შესაბამისად.
14.3. **PAY ანგარიშზე** დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის **PAY ანგარიშზე** შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო **საბანკო დღიდან.**
14.4. **PAY ანგარიშზე** დარიცხული საპროცენტო სარგებლის ოდენობა განისაზღვრება მომსახურების ტარიფებით და პირობებით, რომელიც **დანართის** სახით ერთვის წინამდებარე პირობებს.
14.5. **PAY ანგარიშზე** დარიცხული საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია განხორციელდება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს. დარიცხული სარგებლის გატანა ექვემდებარება ანგარიშიდან თანხის გატანის სტანდარტულ ტარიფს, რომელიც განსაზღვრულია **დანართით.**
14.6. თუ საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაციის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, თანხის კაპიტალიზაცია განხორციელდება მომდევნო **საბანკო დღეს.**
14.7. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ან/და **PAY ანგარიშზე** სარგებლის დარიცხვის მეთოდი, რის შესახებაც **ბანკი** ცვლილებამდე 1 (ერთი) კალენდარული დღით ადრე შეატყობინებს **კლიენტს** თავისი საინფორმაციო არხების მეშვეობით.

## 15. უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი

15.1. **PAY ბარათის** ან **ID ბარათის** უფლებამოსილი მფლობელი **უკონტაქტო წამკითხველით** სარგებლობის მიზნით ვალდებულია შეასრულოს **ბანკომატის** მითითებები, მათ შორის და არამარტო: (ა) **კლიენტის** იდენტიფიცირების მიზნით ბარათი განათავსოს **უკონტაქტო წამკითხველზე;** (ბ) ბარათის იდენტიფიცირების შემდეგ, შეიყვანოს მის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომერი; (გ) მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიღებული კოდი მიუთითოს **ბანკომატის** შესაბამის ველში და სხვა.
15.2. **კლიენტის** იდენტიფიკაციის პროცედურის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, **ბარათის მფლობელი** უფლებამოსილია **ბანკომატის** ეკრანზე გამოტანილი ანგარიშ(ებ)იდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აირჩიოს ერთ-ერთი და განახორციელოს თანხის განაღდების ოპერაცია.
15.3. **ბანკომატიდან** თანხის განაღდების ოპერაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი **ბანკისათვის** განაღდების საკომისიოს გადახდის შემთხვევაში შეადგენს მინიმუმ 5 (ხუთი) ლარს, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში - 5 (ხუთი) ლარის ეკვივალენტს შესაბამის ვალუტაში (**ბანკის** კომერციული კურსით ანგარიშისას).

## 16. ლიბერთი კლუბი

16.1. ლიბერთი კლუბი წარმოადგენს **ბანკის** ან/და მისი **აფილირებული პირების** სასაჩუქრე პროგრამას, რომელიც განკუთვნილია **ბანკის** და მისი აფილირებული პირების - **კლიენტებისთვის,** რის შედეგადაც **კლიენტს** შესაძლებლობა ეძლევა საბანკო პროდუქტებით ან/და მომსახურებით

სარგებლობისას დააგროვოს ქულები, გაანაღდოს დაგროვილი ქულები და მიიღოს სარგებელი;
16.2. ქულების დაგროვების და ლიბერთი კლუბის სარგებლობის პირობები და ტარიფები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.libertyclub.ge ან/და http://www.libertybank.ge.

## 17. სითი პას-ი

17.1. სითი პას-ი (City Pass) წარმოადგენს პროგრამულ სისტემას, რომლითაც აღჭურვილი **PAY ბარათით** შესაძლებელია **ბანკის** მიერ განსაზღვრულ მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა.
17.2. სითი პას-ი (City Pass) დაკავშირებულია **PAY ანგარიშთან**, შესაბამისად მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას გადასახდელი საფასურის ჩამოჭრის **დავალება, კლიენტის** მიერ **ბანკს** ეგზავნება შესაბამის ტერმინალზე **PAY ბარათის** უკონტაქტო წამკითხველზე შეხების შედეგად.
17.3. სითი პას-ის (City Pass) ანგარიშზე დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში, სითი პას **PAY ბარათი** დაიბლოკება დავალიანების წარმოშობის შემდგომ კალენდარულ დღეს. დაბლოკილ სითი პას **PAY ბარათზე** ბლოკის მოხსნა განხორციელდება დავალიანების დასაფარად საკმარისი თანხის **PAY ბარათის** ანგარიშზე განთავსებიდან მეორე კალენდარულ დღეს.
17.4. სიტი პას-ით მომსახურების პირობები და ტარიფები განსაზღვრულია წინამდებარე **პირობების #1 დანართით.**

# ნაწილი III - ზოგადი დებულებები

## 18. მომსახურების ტარიფები და პირობები

18.1. **კლიენტის** და **ბანკის** ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებით**.
18.2. ნებისმიერი **პროდუქტით** ან/და მომსახურებით სარგებლობისას **კლიენტი ბანკს** უხდის მომსახურების საკომისიოს, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე **პირობებით**;
18.3. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** სარგებლობს ისეთი **პროდუქტით** ან/და მომსახურებით, რომლის საკომისიო არ არის დადგენილი წინამდებარე **პირობებით**, ასეთი პროდუქტის/მომსახურების საკომისიო განისაზღვრება **ბანკის** მიერ ასეთი პროდუქტისათვის/მომსახურებისათვის შესაბამისი დროის მომენტისათვის დადგენილი სტანდარტული **ტარიფების** შესაბამისად.
18.4. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი **ტარიფები**. **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფების** ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ პირადად ან **ბანკის** საინფორმაციო მასალების საშუალებით.
18.5. **კლიენტის** და რომელიმე მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობისას) გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს **პირობებით** განსაზღვრული პროდუქტებით სარგებლობის უფლება.
18.6. თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული მომსახურების **ტარიფების** გადახდა განხორციელდება შემდეგი პრინციპით:
18.6.1. მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ ყოველთვიურად ან/და წინასწარ ყოველწლიურად.
18.6.2. წინასწარ ყოველთვიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში საკომისიოს გადახდა ავტომატურად განხორციელდება ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვში;
18.6.3. წინასწარ ყოველწლიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში პირველი გადახდა ხდება **PAY ბარათის** შეძენის დღეს და მოქმედებს ერთი წლის ვადით. ერთი წლის შემდეგ საკომისიოს გადახდის სქემა ავტომატურად შეიცვლება ყოველთვიურით.
18.6.4. **კლიენტს** მომსახურების **ტარიფ(ებ)ის** ყოველთვიური გადახდის სქემით სარგებლობის შემთხვევაში უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს გადახდის სქემა და ისარგებლოს მომსახურების ტარიფ(ებ)ის ყოველწლიური გადახდის სქემით.
18.7. **კლიენტის** მიერ მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მის მიერ შეწყვეტის მომენტისთვის გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.
18.8. თუ მომსახურების **ტარიფ(ებ)ის** (საკომისიო) გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, **ბანკი** მომსახურების ტარიფ(ებ)ის ჩამოწერას განახორციელებს კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს.
18.9. ყოველთვიური საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოახდინოს საკომისიოს აკუმულირება დავალიანების სახით, რომლის დაფარვაც მოხდება **კლიენტის PAY ანგარიშიდან** ან **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან უაქცეპტო წესით თანხის ჩამოწერის გზით მასზე ხელმისაწვდომი ნაშთის გაჩენისთანავე.
18.10. მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ **კლიენტს** მიმდინარე თვიდან აღუდგება საკომისიოს დარიცხვა მის მიერ უკვე არჩეული გადახდის მეთოდის შესაბამისად.
18.11. მომსახურების საკომისიო(ები)ს გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დავალიანების აკუმულირება.
18.12. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის თანმიმდევრობა.

## 19. მხარეთა პასუხისმგებლობა

19.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.
19.2. მიუხედავად **პირობების** 19.1. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:
19.2.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს **კლიენტის** ანგარიში;
19.2.2. **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ბანკში** არსებული ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;
19.2.3. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტს** ანგარიშიდან;
19.2.4. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში.

## 20. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

20.1. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის დავალებით,** - მომსახურების გაწევისას **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან **მესამე პირების** მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელებს**) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების გამოყენების შედეგად ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციის შედეგად. **კლიენტი** აცხადებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული **დავალებების** და ავტორიზაციის შესაბამისად ამ **პირობების** ან/და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისთვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა.
20.2. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით განხორციელდა/განხორციელდება. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ **პირობებს** ზარალის ანაზღაურების შესახებ.
20.3. **პირობების** მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა **პირობებით** განსაზღვრულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია **ბანკის** პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **პირობებით** განსაზღვრულ მომსახურებებთან.
20.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღამასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა, აგენტებსა და **აფილირებულ პირებზეც**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული **პირების** დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ **პირობების** დარღვევას).

20.5. **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო **მესამე პირის** მიერ. **კლიენტმა** არ უნდა დატოვოს **დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან** დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.
20.6. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: (ა) **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი **დავალება**; (ბ) **კლიენტმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან/და არასრული ინფორმაცია; (გ) **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო **მესამე პირი**.
20.7. წინამდებარე მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ **მხარეები** ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ **ხელშეკრულებიდან** წარმოშობილ ვალდებულებებს.

## 21. ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა

21.1. მას შემდეგ, რაც **კლიენტს პირობების** შესაბამისად გაეხსენება **PAY ანგარიში** და გადაეცემა **PAY ბარათი**, ძალაში შედის **პირობების** I და III ნაწილები. **პირობების** II ნაწილით განსაზღვრული **პროდუქტებით** სარგებლობის პირობები ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაზღვრულია **კლიენტის** მიერ შევსებული **განაცხადით** ან/და **ბანკი** თავისი შეხედულებით ანიჭებს **კლიენტს** რომელიმე პროდუქტით სარგებლობის უფლებას.
21.2. **პირობები** ძალაშია **პროდუქტის** მოქმედების ვადით და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.
21.3. **პროდუქტის** მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში **პროდუქტზე** გავრცელდება წინამდებარე **პირობები**, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.
21.4. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ რომელიმე **პროდუქტით** მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ **პროდუქტთან** დაკავშირებით.
21.5. თუ **ბანკი** თვლის, რომ **კლიენტმა PAY ანგარიში** უნდა დახუროს (ბანკის მიერ **ხელშეკრულების** ცალმხრივად შეწყვეტა), **კლიენტს ბანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის არხით გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **კლიენტს** მოეთხოვება **PAY ანგარიშის** დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ **კლიენტი** არ დახურავს **PAY ანგარიშს**, **ბანკს** უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები **PAY ანგარიშზე** (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია **PAY ანგარიშზე** რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს **კლიენტს PAY ანგარიშზე** რიცხული ნაშთი.
21.6. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს **ხელშეკრულებას**, **PAY ბარათს**, დახურავს **კლიენტის PAY ანგარიშს**, გააუქმებს ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ საბანკო მომსახურებას**) და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას.
21.7. **კლიენტის** მიერ **PAY ანგარიშით** მომსახურების შეწყვეტის ან ამ **PAY ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.
21.8. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ხელშეკრულება** არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად ოპერაციებსაც (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ავტომატურ გადარიცხვებს, განმეორებად ოპერაციებს და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც **კლიენტმა** გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი **PAY ანგარიშიდან** თანხის რეგულარულად ჩამოწერას), რომლებიც **კლიენტის დავალების** საფუძველზე ხორციელდება მისივე **PAY ანგარიშიდან**.
21.9. **PAY ანგარიშის** დახურვა ავტომატურად გამოიწვევს **მხარეთა** შორის არსებული **ხელშეკრულების** და **PAY ბარათით** სარგებლობის შეწყვეტას.
21.10. თუ რომელიმე **მხარე** გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ: ყველა **ბარათი**, რომელიც **ბანკმა** გასცა **კლიენტზე** ან **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე**, უნდა დაუბრუნდეს **ბანკს**; ყველა **წვდომის კოდ(ებ)ი** გაუქმდეს; **კლიენტმა ბანკს** უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

## 22. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

22.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
22.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება **ხელშეკრულების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.
22.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 23. კომუნიკაცია

23.1. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:
23.1.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;
23.1.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი **პირისთვის** ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
23.1.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;
23.1.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას, ინფორმაციის განთავსების დღეს.
23.2. იმ შეთხვევაში თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

## 24. კონფიდენციალური ინფორმაცია

24.1. **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.
24.2. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.
24.3. **კონფიდენციალური ინფორმაცია ბანკის** მიერ მოპოვებული იქნება სხვადასხვა წყაროებიდან, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **კლიენტის** მიერ შევსებულ **განაცხადს**, **კლიენტის** მიერ განხორციელებულ **ოპერაციებს**, გამოკითხვებს და კვლევებს (რომელიც მოიცავს **კლიენტთან** დაკავშირებას ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის, ტელეფონის ან სხვა საშუალებით) და ასევე სხვა გარე წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს და მარკეტინგულ ორგანიზაციებს.
24.4. **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:
24.4.1. **კლიენტის PAY ანგარიშის/PAY ბარათის** სათანადოდ ადმინისტრირების და მომსახურების მიზნით, გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია** (მათ შორის და არამარტო **კლიენტის** და მის მიერ განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ) **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, **კლიენტის** მიერ ნებარდართული **პირები**, **აფილირებულ პირები**, **ბანკის** მომწოდებლები/კონტრაქტორები).
24.4.2. **კლიენტის PAY ანგარიშის/PAY ბარათის** სათანადოდ ადმინისტრირების და მომსახურების მიზნით, **მესამე პირებისაგან** (მათ შორის და არამარტო ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, **აფილირებული პირები**, **ბანკის**

მიმწოდებლები/კონტრაქტორები) მიიღოს ინფორმაცია **კლიენტის** მიერ ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ.

24.4.3. **ბანკში** დაფიქსირებულ საკონტაქტო რეკვიზიტებზე (მათ შორის და არამარტო **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე და სხვა) **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნა, მანამ სანამ **ბანკი კლიენტისგან** არ მიიღებს სხვაგვარ წერილობით მითითებას.

24.5. **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის **კლიენტს** მის შესახებ **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე **ბანკს** ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.

24.6. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

24.7. **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

24.7.1. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს ,,კრედიტინფო საქართველოსთან” (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740, შემდგომში - **კრედიტინფო**) შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში **კრედიტინფოს** მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

24.7.2. მისცეს თანხმობა **კრედიტინფოს**, რომ **ბანკის** მიერ **კრედიტინფოსთვის** მიწოდებული **კლიენტების** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელების** მონაცემები **კრედიტინფომ** გადასცეს **მესამე პირებს**, იმ პირობით, რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** ან ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მონაცემების მიწოდება მოხდება იმ **პირებისთვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან **კრედიტინფოს** აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება **კრედიტინფოსთან**;

24.7.3. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს **კრედიტინფოს** მონაცემთა ბაზაში არსებული **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **დამატებითი ბარათის მფლობელის** მონაცემები.

## 25. დასკვნითი დებულებები

25.1. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს **ბანკის** მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

25.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

25.3. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

25.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **მესამე პირებს** დაუთმოს/გადასცეს **პირობებით** განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან თუ **ბანკი** ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის PAY ანგარიშის** შესახებ **კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებს**.

25.5. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

25.6. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

25.7. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

25.8. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

25.9. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

დანართი #1 – PAY ბარათის მომსახურების პირობები და ტარიფები

| Smარტივი PAY ბარათი | სტანდარტული Smარტივი ბარათი | პრემიალური Smარტივი ბარათი |
|---|---|---|
| |  |  |
| **Smარტივი სახელი (Nickname)** | | |
| სიმბოლოებისა და ციფრების ნებისმიერი კომბინაცია | უფასო | უფასო |
| **Smარტივით სარგებლობა** | | |
| **ერთჯერადი გადახდა Smარტივი ბარათით (თითო პროვაიდერი)** | | |
| ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში[1] | 0.25 ლარი[2] | 0.25 ლარი[2] |
| ვებ-გვერდით www.smartivi.ge[3] | | |
| ლიბერთი ბანკის ბანკომატებით | | |
| **გადახდა Smარტივი კალათის მეშვეობით** | | |
| ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში | უფასო[4] | უფასო |
| ვებ-გვერდით www.smartivi.ge[3] | | |
| **Smარტივი კალათა** | | |
| კალათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო | თითო კალათა - 0.50 ლარი | ნებისმიერი რაოდენობა - უფასო |
| კალათის მომსახურების ერთი წლის საკომისიო წინასწარ გადახდით | თითო კალათა - 5.00 ლარი | ნებისმიერი რაოდენობა - უფასო |
| კალათების მაქსიმალური რაოდენობა | შეუზღუდავი | შეუზღუდავი |
| პროვაიდერების რაოდენობა თითო კალათაში | 7 | 10 |
| **Smარტივი კონსიერჟი** | | |
| მომსახურების ყოველთვიური საკომისიო | 0.50 ლარი | უფასო |
| **Smარტივი ბარათით სარგებლობა** | | |
| ბარათის ტიპი | ლოკალური საბანკო ბარათი | ლოკალური საბანკო ბარათი |
| ბარათის მოქმედების ვადა | 10 წელი | 10 წელი |
| ანგარიშის ვალუტა | ლარი, აშშ დოლარი, ევრო | ლარი, აშშ დოლარი, ევრო |
| ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო | უფასო | 3.00 ლარი |
| ბარათის მომსახურების ერთი წლის საკომისიო წინასწარ გადახდით | უფასო | 30 ლარი |
| ეროვნული ვალუტის გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში | 3.00%, მინიმუმ 0.50 ლარი | 1.00%, მინიმუმ 0.50 ლარი |
| აშშ დოლარის გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში | 3.00%, მინიმუმ 0.50 აშშ დოლარი | 1.00%, მინიმუმ 0.50 აშშ დოლარი |
| ევროს გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში | 3.00%, მინიმუმ 0.50 ევრო | 1.00%, მინიმუმ 0.50 ევრო |
| ეროვნული ვალუტის გატანა ლიბერთი ბანკის ბანკომატებით | 1.50%, მინიმუმ 0.50 ლარი | უფასო |
